# შეზღუდული პასუხისმგებლობის
# საზოგადოება ''ეფ ჰაუსი,,

## მმართველობის ანგარიშგება
## 2024 წელი

## შინაარსი

1 საქმიანობის მომიხილვა ....................................................................................4

2 განვითარების სტრატეგია....................................................................................5

3 ჩატარებული კვლევები ....................................................................................5

4 ფინანსური ინფორმაცია ....................................................................................6

5 ფინანსური რისკების მართვა....................................................................................9

# წარმომადგენლობა

წინამდებარე ,, მმართველობის ანგარიშგება'' მომზადებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,შპს ეფ ჰაუსის“ მიერ ბუღალტრული აღრიცხვის , ანგარიშგების და აუდიტის შესახვებ საქართველოს კანონის მოთხოვნის საფუძველზე.

31 ოქტომბერი 2025 წელი

გიორგი ბიბილაშვილი

დირექტორი

შპს ,,ეფ ჰაუსი“ ს/კ 405495012

1. საქმიანობის მიმოხილვა

შპს ,,ეფ ჰაუსი“ ბაზარზე ოპერირებს 2022 წლიდან. მის ძირითად საქმიანობს წარმოადგენს ავეჯის ფურნიტურის საბითუმო საცალო რეალიზაცია. შესყიდვა ხორციელდება როგორც ადგილობრივ ბაზარზე ასევე იმპორტი ჩინეთიდან და თურქეთიდან.

კომპანია ფუნქციონირებს  სასაწყობო ფართით და ორი სავაჭრო მაღაზიით.

დასაქმებულთა საშვალო რაოდენობა შეადგენს 10 ადამიანს(2023 / 9 თანამშრომელი)

კომპანია დაარსების დღიდან ყოველწლიროუად იზრდება და ორიენტირებულია პროდუქციის ზრდასა და ბიზნესის განვითარებაზე.

ბიზნესი და ოპერაციები

კომპანიის სტრუქტურა მაქსიმალურად პასუხობს კომპანიის მისიას და გამოწვევებს.

სტრუქტურულად მოცემულია ორი ძირითადი მიმართულება ლოჯისტიკის და გაყიდვების დეპარტამეტნი, რომელიც პასუხიმგებელია დასახული მიზნების შესრულებაზე.

კომპანიის მიზანია ჰყავდეს მოტივირებული მონდომებული თანამშრომლები, რის გამოც კომპანიაში მოქმედებს საკმაოდ ეფექტური მოტივაციის სქემა.

კომპანიის ძირითად კლიენტებს წარმოადგენენ ავეჯის დამამზადებელი კომპანიები.

პროდუქციის გასაყიდი ფასი ფორმირდება, დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებლებისა და კონკურენტული გარემოემების გათვალისინებით.

2. განვითარების სტრატეგია

2024 წელს კომპანიამ მნიშვნელოვნად გაზარდა პროდუქციის ასორტიმენტი. მომავალ პერიოდში იგეგმება საქართველოს ბაზრის კიდევ უფრო სრულად ათვისება,
ასორტიმენტის, მომხმარებელთა და მომწოდებელთა ბაზის გაფართოებით. გრძელვადიან პერსპექტივაში კომპანია მიზნად ისახავს საიმედო პარტნიორის იმიჯის გამყარებას და რეგიონალური წარმომადგენლობების შექმნას.

3. ჩატარებული კვლევები

კომპანია სისტემატურად ატარებს მარკეტინგულ კვლევებს, რომლებიც მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას:

1. ბაზრის გაჯერებულობის ანალიზი ხდება დეფიციტური პროდუქციის გამოვლენა და ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული ახალი პროდუქციის დამატება ასორტიმენტში.
2. კონკურენტების ფასების მონიტორინგი რეგულარულად ხდება ფასების შედარება კონკურენტებთან და საჭიროების შემთხვევაში, ფასების კორექტირება კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად.

4. ფინანსური ინფორმაცია

შპს '' ეჰ ჰაუსი,, 2024 წელს მესამე კატეგორიის საწარმოს წარმოადგენს და ფინანსურ ინფორმაციას წარმოადგენს მცირე და საშუალო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტების მიმოხილვა

| ლარი | 2024 წლის 31 დეკემბერი | 2023 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| აქტივები | | |
| გრძელვადიანი აქტივები | | |
| ძირითადი საშუალებები | 42074 | 32917 |
| არამეტერიალური აქტივები | 6803 | 3617 |
| აქტივების გამოყენების უფლება | | |
| | **48877** | **36534** |
| მიმდინარე აქტივები | | |
| მარაგები | 846097 | 503073 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 332732 | 294199 |
| ფული ხელზე და საბანკო ანგარიშზე | 35075 | 46957 |
| | **1213904** | **844229** |
| მთლიანი აქტივები | **1262781** | **880763** |
| კაპიტალი და ვალდებულებები | | |
| კაპიტალი და რეზერვები: | | |
| საწესდებო კაპიტალი | 235437 | 181937 |
| აკუმულირებული მოგება | 273934 | 193747 |
| | **509371** | **375684** |
| გრძელდავიანი ვალდებულებები | - | - |
| გრძელდავიანი სესხები | 620178 | 324555 |
| | **620178** | **324555** |
| მიმდინარე ვალდებულებები | | |
| სავაჭრო და სხვა დალდებულებები | 133232 | 180524 |
| საიჯარო მოკლევადიანი ვალდებულება | - | - |
| მიმდინარე სესხი | - | - |
| | **133232** | **180524** |
| მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები | **1262781** | **880763** |

კომპანიის აქტივები

2024 წლის 31 დეკმებრის მდგომარეობთ კომპანიის მთლიანმა ქტივებმა

1.2 მილიონი ლარი შეადგინა , წინა წელს ეს მაჩვენებელი 0,8 ასიათასი ლარი იყო
აქტივების ზრდის ერთ ერთი მიზეზია სასაქონლო მარეგების ზრდა.

მოკლევადიანი აქტივები (მარაგები) წარმოადგენს ჯამური აქტივების ყველაზე დიდ ნაწილს 67% ეს განპირობებულია კომპანიის სპეციფიკაციით .

ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიამ დამატებით აიღო სესხი სასაქონლო მარაგების შესავსებად (ასორტიმეტის და ნაშთის გასაზრდელად)

კაპიტალი

2024 31 დეკმებრის მდგომარეობით კომპანიია აკუმულირებულმა მოგებამ შეადგინა 273934 ლარი

მოგება ზარალის ანგარიშგების ძირითადი ელემენტების მიმოხილვა

| ლარი | 2024 წელი | 2023 წელი |
| --- | --- | --- |
| შემოსავალი | 2756597 | 2457278 |
| რეალიზაბეული საქონლის თვითღირებულება | -2078375 | -1882122 |
| საერთო მოგება | **678222** | **575156** |
| სხვა შემოსავალი | - | - |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | -310987 | -248667 |
| ადმინისტრაცული ხარჯები | -258585 | -196627 |
| სხვა ხარჯები | - | - |
| შედეგი საოპერაციო მოგებიდან | **108650** | **129862** |
| ფინანსური ხარჯები | - | - |
| ზარალი საკურსო სხვაობიდან | -28463 | -921 |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი | - | - |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი | - | - |
| წლის მთლიანი სრული შემოსავალი | **80187** | **128941** |

2024 წელს კომპანიის შემოსავლებმა 2,7 მილიონი ლარი შეადგინა რაც წინა წელთან შედარებით 12% ზრდას გულისხმობს , თუმცა გაზრდილი ხელფასების და სესხზე დარიცხული პროცენტის და უარყოფითი საკურსო სხვაობის გამო 2024 წლის მოგება ჩამორჩება 2023 წლის მოგებას. ყოველივე

ამის გათვალისინებით  კომპანიამ შეძლო 2024 წელი 80187 ლარიანი მოგებით დაესრულებინა.

5. ფინანსური რისკების მართვა
   კომპანია ექვემდებარება სავალუტო და საბაზრო რისკებს,
   რადგან საქონლის შესყიდვა ძირითადად ხდება უცხოურ ვალუტაში.
   ფინანსური დეპარტამენტი ახორციელებს სავალუტო კურსების
   და საბაზრო ცვლილებების პერიოდულ შეფასებას,
   რათა მინიმუმამდე დაიყვანოს სავალუტო ზარალი

   კაპიტალის რისკის მართვა
   კომპანია ისე მართავს  კაპიტალს, რომ შეძლოს საქმინაობის გაგრძელება
   ფუნქციონერადობის პრინციპით და დამფუძნებლები უზრუნველყოს
   ადეკვატური უკუგებით.
   კომპანიის კაპიტალის  სტრუქტურა შედგება : საკუთარი კაპიტალისგან ,
   რომელიც მოიცავს  საწესდებო კაპიტალს და აკუმულირებულ მოგებას.